



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N009/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ნათია მაჭარაშვილი

### შეკითხვა

დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებებს, თუ შეადგენს ხელშეკრულებას ორივე მხარის სახელით, სადაც ერთ მხარეს წარმოადგენს კომპანია A, რომელსაც საადვოკატო მომსახურებას უწევს თვითონ, ხოლო მეორე მხარეს არის სამშენებლო კომპანია, რომლის 20% წილის მფლობელი არის ადვოკატი, ხოლო 80% წილის მფლობელი არის ადვოკატის ძმა?

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ზემოთ აღნიშნული შეკითხვის განხილვისას იხელმძღვანელა შემდეგი ნორმებით: („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“) მუხლი 2.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“) მუხლის 6.1 და დაადგინა: მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი უწევს სამართლებრივ მომსახურებას კომპანია A-ს და მის დირექტორს. მომსახურების პერიოდში ადვოკატი გეგმავს სხვაგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდეს კლიენტთან, კერძოდ, მისი და მისი ძმის სამშენებლო კომპანიის სახელით გააფორმოს კლიენტთან მომსახურების ხელშეკრულება სამშენებლო დარგში. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ წარმომადგენლობის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა შეზღუდვა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი არ უნდა შევიდეს კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში წარმომადგენლობის პერიოდში, ადვოკატმა მაინც უნდა შეიკავოს თავი მსგავსი ქმედებისაგან, რადგან მაღალია ალბათობა იმისა, რომ მხარეთა ინტერესები გაიყოს, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს კლიენტის ინტერესების დაცვისას ადვოკატის მიერ ობიექტური და დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაზე. გარდა დამოუკიდებლობისა, მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ასევე ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის დადგენა. შეკითხვაში აღნიშნული ადვოკატი კონსულტაციას უწევს კომპანია A-ს და შესაბამისად, მათ შორის არსებობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კომპანია A-სა და სამშენებლო კომპანია B-ს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება. ორივე მხარე თანახმაა, რომ ხელშეკრულება მოამზადოს ადვოკატმა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა, ერთი მხრივ, ადვოკატის, როგორც სამშენებლო კომპანიის 20% წილის მფლობელის პირადი ინტერესი და მასთან დაკავშირებული პირის - მისი ძმის ინტერესი, მეორე მხრივ, აღნიშნულ ინტერესებს უპირისპირდება კომპანია A-ს და მისი დირექტორის ინტერესები, რომელთაც საადვოკატო მომსახურებას უწევს ადვოკატი. ასეთ დროს, ადვოკატს ერთდროულად ორი მხარის ინტერესების გათვალისწინება მოუწევს, რისი განხორციელებაც შეუძლებელი იქნება. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საფრთხე ექმნება კომპანია A-ს, როგორც არსებული კლიენტის ინტერესებს, რომელსაც უპირისპირდება ადვოკატისა და მასთან დაკავშირებული პირის - მისი ძმის პირადი ინტერესი. ადვოკატს აკისრია ორივე მხარის ინფორმირების ვალდებულება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხის თაობაზე. ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ორივე მხარის თანხმობა იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია. შესაძლებელია, ხელშეკრულება შეადგინოს ადვოკატმა, როგორც ხელშეკრულების მხარემ, თავისი ინტერესების გათვალისწინებით

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c17c81a0987d.pdf/5c17c81a0987d.pdf>



და გადაუგზავნოს მეორე მხარე კომპანია A-ს. ამასთან, ადვოკატმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კომპანია A-ს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს კონფლიქტი მათ ინტერესებს შორის და ურჩიოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის განხორციელებამდე, კომპანია დაუკავშირდეს სხვა - დამოუკიდებელ ადვოკატს, რომელიც ამ ხელშეკრულების მომზადებისას წარმოადგენს მის ინტერესებს და გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას კომპანია A-ს ინტერესების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, დაცული იქნება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და არ იარსებებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკი.

### **დასკვნა**

ადვოკატს არ აქვს უფლება, როგორც ორივე მხარის წარმომადგენელმა შეადგინოს აღნიშნული ხელშეკრულება და გაუწიოს მათ ერთდროულად სამართლებრივი კონსულტაცია. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის საფრთხე და თავი შეიკავოს მოცემული ხელშეკრულების გაფორმებისაგან.